სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

16 / იანვარი / 2025 წ.

KA080197117522025

№ **130**

განკარგულება

შპს „ჯავახავტოგზის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 14 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯავახავტოგზის“ (ს/ნ: 223352930) 2025 წლის 12 იანვრის № 2 მომართვა (რეგისტრაციის № 177), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2025 წლის 15 იანვარს წარმოადგინა 2025 წლის 15 იანვრის № 3 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 272), რომლითაც მან გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 15 იანვრის №91 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ჯავახავტოგზის“ (ს/ნ: 223352930) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, იწურება 2025 წლის 27 იანვარს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ჯავახავტოგზას“ (ს/ნ: 223352930) 2025 წლის 28 იანვრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე